მწვანე ალტერნატივა

თბილისი, 0179, ფალიაშვილის 39ბ, IV სართ.
ტელ.: (+99532) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

24 მარტი, 2023
№ 23/09/03-118

თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს
ქალბატონ ნინო ბუაჩიძეს

ა(ა)იპ მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელის
ნინო გუჯარაიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

*/ხარვეზის გამოსწორების თაობაზე - საქმე #*330310023007179079/

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 26 აპრილის განჩინებით დადგენილი ხარვეზთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის 2023 წლის 3 თებერვლის გადაწყვეტილება არის ე.წ. „ვირტუალური“ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი; ამდენად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას წარმოვუდგინოთ სასამართლოს მისი ასლი.

2. მოგახსენებთ, რომ სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 21 მარტის № 256/ს ბრძანებით სააგენტოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს დაევალა ჩვენთვის **მხოლოდ სპეციალური მმართველის ყოველთვიური ანგარიშების გადმოცემა და არა ჩვენს მიერ მოთხოვნილი სრული დოკუმენტაციის გადმოცემა.**

ამდენად, ვაზუსტებთ სარჩელის მე-2 მოთხოვნას: ბათილად იქნეს ცნობილი - სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 21 მარტის № 256/ს ბრძანება, იმ ნაწილში, რომლითაც მწვანე ალტერნატივას უარი ეთქვა - შპს ჯორჯიან მანგანეზთან 2021 წლის 1 დეკემბრიდან ინფორმაციის მოწოდების დღემდე წარმოებული მიმოწერის, კომპანიის მიერ წარმოდგენილი (გარდა სპეციალური მმართველის მიერ 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის

დეკემბრის ჩათვლით წარდგენილი ანგარიშებისა) და/ან კომპანიისათვის გაგზავნილი ყველა დოკუმენტის ასლის გადაცემაზე.

3. დანართად წარმოგიდგენთ სარჩელის დედანს (მათ შორის, სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის დედანს) და ერთ ასლს მატერიალური სახით.

დანართი: 256 ფურცელი.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი